# ლიბიის კრიზისი არაბული გაზაფხულის კონტექსტში

ნიკოლოზ ივანაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2013

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში მიმოხილულია 21-ე საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა - „არაბული გაზაფხული“, რომელმაც ახლო აღმოსავლეთში სრულიად ახალი პოლიტიკური რეალობის შექმნის შანსი წარმოშვა. ნაშრომის მიზანია, არაბული გაზაფხულის კონტექსტში ლიბიის კრიზისის განხილვა პოლიტიკური რეალიზმის პარადიგმით. საუბარია არც თუ ღარიბ რეგიონში წარმოდგენილ სახელმწიფოებში რევოლუციების გამომწვევ მიზეზებზე  და ამ რევოლუციების დომინოს პრინციპით გავრცელების მიმდინარეობაზე. ნაშრომი აღწერს რა შედეგები მოუტანა განვითარებულმა პროცესებმა რეგიონს და წარმოდგენილია თვალსაზრისი, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები.

მეთოდოლოგიურად ნაშრომი წყაროების ანალიზის (კონტენტ ანალიზი) კატეგორიაში მოიაზრება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თემაზე თანამედროვე, ღირებულების მქონე ლიტერატურა პრაქტიკულად იშვიათი ან ძნელად ხელმისაწვდომია. „არაბული გაზაფხული“ ახალი და ჯერ კიდევ მიმდინარე მოვლენაა. წარმოდგენილ კვლევაში გამოყენებულია კვლევის ამ სფეროში მოღვაწე სხვადასხვა მეცნიერის ნაშრომი.

**ძირითადი საძიებო სიტყვები**: არაბული სამყარო, არაბული რევოლუციები, ისლამური ფუნდამენტალიზმი, მუსლიმი ძმები, ლიბიის კრიზისი, ჰუმანიტარული ინტერვენცია, პოლიტიკური რეალიზმი.